USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)

ონლაინ კონფერენცია: საქართველოს შრომის კოდექსში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის და ქალთა შრომითი უფლებების გასაძლიერებლად

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამა „კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროექტი საქართველოში“ (PROLoG), რომელსაც ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI), ყოველწლიურად უერთდება ადამიანის უფლებათა კვირეულს. წელს, კვირეულის ფარგლებში, USAID/PROLoG-ი გეგმავს რიგი ღონისძიებების გამართვას პარტნიორ უწყებებთან, აკადემიურ პარტნიორებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად.

2020 წლის 29 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტმა, სხვადასხვა სოციალურ პარტნიორებთან ხანგრძლივი დისკუსიების შემდეგ, საქართველოს შრომის კანონმდებლობაში ცვლილებები შეიტანა. რეფორმა, რომლის პროცესშიც USAID/PROLoG-ის ექსპერტები იყვნენ ჩართულები, მნიშვნელოვნად აძლიერებს ქალთა შრომით უფლებებს. ცვლილებების ძირითადი ნაწილი შეეხება შემდეგ საკითხებს:

- ჯანმრთელობის მდგომარეობის საფუძველზე დისკრიმინაციის აკრძალვა
- დასაქმებულების, ორსულების და დედების დაცვა
- ქალთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა
- კანონის აღსრულების ეფექტური მექანიზმი

ცვლილებები აძლიერებს დაცვის მექანიზმებს დასაქმებული ორსული ქალების და დედებისთვის, რომელთაც, ორსულობისა და მშობიარობის, ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების დასრულების შემდეგ, კანონის წინა ვერსიით, იგივე სამსახურში იმავე შრომითი პირობებით დაბრუნების სამართლებრივი გარანტიები არ ჰქონდათ. ცვლილებები ხელს უწყობს ქალთა პროფესიულ განვითარებას და მოითხოვს დამსაქმებლების მიერ პროფესიულ ტრენინგებში ან კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში დასაქმებულების მონაწილეობის უზრუნველყოფას. ფართოვდება შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობაში, დასაქმებასა და პროფესიულ საქმიანობაში დისკრიმინაციის აკრძალვის ფარგლები. ძლიერდება დაცვის მექანიზმი დასაქმებულებისთვის, რაც გულისხმობს, რომ შრომითი ხელშეკრულება აუცილებლად წერილობითი ფორმით უნდა დაიდოს, თუ შრომითი ურთიერთობა ერთ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდება. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ყალიბდება კანონის აღსრულების ეფექტური მექანიზმი.

ონლაინ კონფერენციის მიზანია, მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ დისკუსია და მისი ეფექტური აღსრულების მიზნით, როგორც სახელმწიფო, ისე სამოქალაქო სექტორის პოზიციების გაცნობა, მსჯელობა თანამშრომლობის და ურთიერთ დახმარების შესაძლებლობებზე.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)

14:00 საათი, 9 დეკემბერი, 2020 წ.
დღის წესრიგი

14:00 - 14:20	მისალმება – **დიმიტრი ქქიტაიშვილი**, საკანონმდებლო ცვლილებების ავტორი – **ლორა ბერგერი,** USAID-ის დემოკრატიის, მმართველობისა და სოციალური განვითარების ოფისის დირექტორის მოადგილე – **თამილა ბარკალაია**, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე
14:20 - 14:50	თემატური განხილვა: შრომის რეფორმის ძირითადი ასპექტები გენდერული თანასწორობის და ქალთა შრომითი უფლებების გაძლიერების ფარგლებში, ცვლილებების ეფექტიანი აღსრულების პერსპექტივები – **დიმიტრი ქქიტაიშვილი**, საკანონმდებლო ცვლილებების ავტორი – **ლეიო სიბელი**, შრომის საერთაშორისო სტანდარტებისა და შრომის სამართლის უფროსი სპეციალისტი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია – **ბექა ფერაძე**, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსი
14:50 - 15:20	თემატური განხილვა: ცვლილებებს მიღმა დარჩენილი საკითხები გენდერული თანასწორობის და ქალთა შრომითი უფლებების დაცვის გარანტიები კონტექსტში, ცვლილებების ადვოკატირება და რეფორმის პერსპექტივები – **ეკატერინე სხილაძე**, სახალხო დამცველის მოადგილე – **ნინო ცუხიშვილი**, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია – **რაისა ლიპარტელიანი**, პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე
15:20 - 16:00	დისკუსია მოდერატორი - დიმიტრი ქქიტაიშვილი/ USAID/PROLoG
	შეხვედრის შეჯამება